პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 კვირა 27 ივნისი № 149 (16579) ფასი 2 კაპ. 1976

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით მთელ თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“

მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა მხურვალედ მოიწონეს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, დებულებანი და ამოცანები, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, და აღფრთოვანებით იბრძვიან მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეზე დიდი დადებითი ზეგავლენა მოახდინა და კვლავაც ახდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 ხუთერვლის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნები გამოიტანა ამ დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის საქალაქო კომიტეტმა, სხვა პარტიულმა კომიტეტებმა თვითკრიტიკულად გააანალიზეს საქმეთა ვითარება რესპუბლიკაში, შეიმუშავეს და ახორციელებენ იმ ღონისძიებათა ფართო სისტემას, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ზრდა. წარმოებს მიზანდასახული მუშაობა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტი, გაძლიერდა მათი წარმართველი და მაორგანიზებელი გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა და შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც ეყრდნობიან პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერას და დახმარებას, უფრო სრულად იყენებენ შინაგან რეზერვებს, ძირითადად დაძლიეს სერიოზული ჩამორჩენა, რომელიც 1971-1972 წლებში იყო მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ამის შედეგად განვითარების ტემპების, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საერთო მოცულობის მხრივ რესპუბლიკის მრეწველობამ მიაღწია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით დათვალისწინებულ დონეს. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი დავალება, რის ხარჯზე მიღებულია სამრეწველო წარმოების მატების ოთხ მეხუთედზე მეტი. გაიზარდა ფონდამოგება, გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი, შემცირდა მუშახელის დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები. შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებმა გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი. მერვე ხუთწლედთან შედარებით სოფლის მშრომელებმა გაზარდეს პროდუქციის წარმოება. შესრულებულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმები. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა დიდძალი მარცვლეული, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ციტრუსები, ხილი, ხორცი და რძე.

წარმოებს მუშაობა კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და მშენებლობის ვადების შემცირებისათვის. გასულ ხუთწლედში ამოქმედდა 72 სამრეწველო საწარმო, მათ შორის დირექტივებით გათვალისწინებული ობიექტები — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი და ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა. რეკონსტრუირებულია ბევრი საამქრო, ქარხანა და ფაბრიკა, რის შედეგად მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების ნახევარზე მეტი.

პარტიული კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების გაძლიერების შედეგად უფრო აქტიურად წყდება კომუნალური მეურნეობის განვითარების, მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხები. ბოლო სამი წლის მანძილზე წარმატებით სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმები. შენდება მეტი საბავშვო დაწესებულებები. სკოლები და საავადმყოფოები. გაუმჯობესდა ქალაქების მოსახლეობის მომარაგება ახალი ბოსტნეულითა და ხილით. კიდევ უფრო განვითარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება.

აღნიშნა რა ეკონომიკის სფეროში მომხდარი დადებითი ძვრები, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყურადღება მიაქცია იმას, რომ ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის მხრივ რესპუბლიკა ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყველა იმ რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების უთუოდ შესრულება, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1976-1980 წლების განვითარების ძირითად მიმართულებებში. მათ უნდა უზრუნველყონ რესპუბლიკის საწარმოო ძალების უფრო სწრაფი განვითარება მისი მდიდარი ბუნებრივი და ნიადაგ-კლიმატური პირობების, მატერიალური და შრომითი რესურსების, დიდი მეცნიერული პოტენციალის, ყველა შინაგანი რეზერვისა და შესაძლებლობის რაციონალურად გამოყენების საფუძველზე. ისინი უფრო მეტი ენერგიით უნდა იღვწოდნენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უფრო გადაჭრით ებრძოდნენ უყაირათობის, ნედლეულის, მასალების, ფულადი სახსრების ხარჯვაში მფლანგველობის ფაქტებს, სამუშაო დროის დანაკარგებს.

იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკაში არის ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროა ყველა მეურნეობის რენტაბელურობის უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების ბაზაზე. აუცილებელია მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის მნიშვნელოვნად გადიდება, მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი ზრდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაში საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონის ამაღლება.

საქართველოს სსრ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ საჭიროა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება კაპიტალურ მშენებლობაში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ხდება, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითად გაუმჯობესების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირების, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგია. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე ბრძოლა გაშალა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების მკაცრად დაცვისათვის. პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის ბევრი უბანი განამტკიცეს პოლიტიკურად მომწიფებული, მორალურად სპეტაკი და პარტიის საქმისადმი ერთგული კადრებით. კადრების საკითხთა გადაწყვეტისას მკვიდრდება კოლეგიალობის პრინციპი, ამასთან პარტიული ორგანოები უფრო სრულად ითვალისწინებენ კომუნისტების, მშრომელთა კოლექტივების აზრს. ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ თავიდან აიცილონ შეცდომები, რომლებიც ახლო წარსულში იყო დაშვებული მუშაკთა შეფასების, პირადი ერთგულების, ნათესაური და მეგობრული ურთიერთობის ნიშნით მათი დაწინაურების დროს. მეტ ზრუნვას იჩენენ რესპუბლიკაში ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკური და საქმიანი დონის ამაღლებისათვის, მათ მეტ პასუხს სთხოვენ მინდობილ უბანზე მუშაობის შედეგებისა და ადამიანთა აღზრდისათვის.

გაიზარდა პარტიული კომიტეტების პლენუმებისა და პარტიული კრებების, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოების, კადრების. ყველა კომუნისტის აღზრდის სკოლის მნიშვნელობა. შინაპარტიული დემოკრატიის, ამხანაგური კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარების საფუძველზე იზრდება კომუნისტთა აქტივობა, დისციპლინა და პასუხისმგებლობა საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში საქმეთა ვითარებისათვის.

პარტიული კომიტეტები სრულყოფენ პარტიის დირექტივებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციასა და შემოწმებას, ამაღლებენ კომუნისტთა და უპარტიოთა ინფორმირებას სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებში, რითაც ხელს უწყობენ ხელმძღვანელი ორგანოებისა და კადრების საქმიანობისადმი ფართო მასების კონტროლის შემდგომ განვითარებას. პარტიული კომიტეტები რეგულარულად აცნობენ თავიანთ მუშაობას პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ანგარიში ჩააბარა ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციას, ხოლო თბილისის საქალაქო კომიტეტმა — პირველადი პარტორგანიზაციების კრებებს. გაუმჯობესდა მუშაობა კომუნისტების წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების, მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვისა და რეალიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად უზრუნველყოს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება. პარტიული კომიტეტები კვლავაც დაუცხრომლად უნდა ზრუნავდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, მათი რიგების შეკავშირებისა და სიწმინდისათვის, უნდა ცდილობდნენ, რომ თვითეულ კომუნისტს ჰქონდეს პოლიტიკური მებრძოლის თვისებები, ღირსეულად ასრულებდეს ავანგარდულ როლს წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამაგალითო იყოს ყოფაცხოვრებაში. საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ მათ ვასწავლოთ მუშაობის ლენინური სტილი, ყველა საკითხის გადაჭრისადმი მიდგომა პარტიული პოზიციებიდან, საერთო სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით, საჭიროა ბრძოლა ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობის, უდისციპლინობის, მშრომელთა მოთხოვნილებათა და საჭიროებათა უგულებელყოფის არსებულ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ყოველმხრივ უნდა განვითარდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც მიღწევების, ისე არსებული ნაკლოვანებების თვითკრიტიკული ანალიზი უნდა დაედოს საფუძვლად თვითეული პარტიული კომიტეტის, თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის, ყველა კომუნისტის საქმიანობას. უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, კადრები აღიზარდოს იმ სულისკვეთებით, რომ სახალხოსამეურნეო გეგმებს ყველა მაჩვენებლით უთუოდ ასრულებდეს ყველა უბანი, ყველა კოლექტივი. უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა კადრების რეზერვთან, ამაღლდეს მათი თეორიული და პროფესიული მომზადება. საჭიროა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, მისი შეფასება ჩატარებული თათბირებისა და მიღებული დადგენილებების რაოდენობის კი არა, არამედ რეალური შედეგების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალია ორგანიზატორული მუშაობის დონე, რამდენად ზუსტია კონტროლი. უნდა გაძლიერდეს საბჭოებისადმი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ქმედითობა, გაიზარდოს საბჭოებში მომუშავე კომუნისტების აქტივობა და პასუხისმგებლობა, განუხრელად ვითარდებოდეს სოციალისტური დემოკრატია, მტკიცდებოდეს მართლწესრიგი და სოციალისტური კანონიერება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიზანდასახული მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრების დარგში. იდეურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ განსაკუთრებული გაქანება და სიღრმე შეიძინა სკკპ XXV ყრილობის შემდეგ. ყრილობის მასალებისა და დოკუმენტების პროპაგანდისა და განმარტების მიზანია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების იდეები, დებულებები და დასკვნები გააცნონ თვითეულ ადამიანს, დაეხმარონ მშრომელებს, რათა განსაზღვრონ მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში თავიანთი კონკრეტული მონაწილეობის ფორმა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა მრავალმხრივ მუშაობას, რათა კომუნისტებსა და კომკავშირელებს, მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას, ხელმძღვანელ კადრებს ჩაუნერგოს კომუნისტური იდეურობა, მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა, საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობა, თვითეულ შრომითს კოლექტივში, მთლიანად რესპუბლიკაში შექმნას ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები აუმჯობესებენ ადამიანთა აღზრდას კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, შრომისა და სახალხო დოვლათისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სოციალისტური დისციპლინისა და საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. წარმოებს შეურიგებელი ბრძოლა მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების, იმ ნაციონალისტური გამოვლინებების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ ზოგჯერ გვხვდება, მომხვეჭელობის, დრომოქმული მავნე ზნე-ჩვეულებების, რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ.

ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, აქტიურ შრომითსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ჩაბმისათვის. მეტი ყურადღება ეთმობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხებს.

იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში საგრძნობლად გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, შემოქმედებითი კავშირების, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების როლი. საქართველოს სსრ მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, თეატრისა და კინოს მუშაკებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ შინაარსით სოციალისტური, სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური და ფორმით ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაში. ბოლო წლების მანძილზე შეიქმნა მთელი რიგი ნიჭიერი ნაწარმოებები, რომლებშიც პარტიული პოზიციებიდან ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვეობის საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც უმეტესად შრომითი წარმატებების ჰეროიკასა და ჰათოსს, მშრომელი ადამიანების აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციასა და მაღალ ზნეობრივ თვისებებს.

გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები სახალხო განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის. თანდათან ხდება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების დროს არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. შესამჩნევად გაუმჯობესდა სტუდენტობის შემადგენლობა, სადაც თითქმის ერთიორად გაიზარდა მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვი. გაიზარდა იმ ქალიშვილებისა და ჭაბუკების ხვედრითი წონა, რომლებიც სასწავლებლად მოვიდნენ წარმოებიდან და საბჭოთა არმიის რიგებიდან. მეტი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა და მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას. შრომითს სემესტრთან ერთად ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში შემოღებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა, რომლის დროს მომავალი სპეციალისტები იძენენ ადამიანებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩვევებს.

პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ სერიოზულ ღონისძიებებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების, წარსულის ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებიან მშრომელთა სულ უფრო ფართო მასები, გაიზარდა შრომითი კოლექტივების როლი ამ საქმეში. ქალაქებსა და რაიონებში იქმნება მართლწესრიგის საყრდენი პუნქტები, მოზარდთა კლუბები, უმჯობესდება ამხანაგური სასამართლოებისა და სახალხო რაზმეულების საქმიანობა, რაც ხელს უწყობს სამართალდარღვევათა შემცირებას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, თუმცა, მიაჩნია, რომ მხოლოდ დასაბამი მიეცა იმ დიდ მუშაობას, რომელიც მომავალშიც უნდა წარმოებდეს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. იდეოლოგიურ მუშაობაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გაზრდილი აქტივობა კარგ შესაძლებლობებს უქმნის იმ ამოცანების უფრო წარმატებით შესრულებას, რომლებიც ამ დარგში დასახა სკკპ XXV ყრილობამ. იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად პარტიულმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის პერსპექტიული კომპლექსური გეგმები, მიაღწიონ მეათე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაში, ახალი ადამიანის აღზრდაში ყველა იდეოლოგიური დაწესებულების. პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი ძალებისა და საშუალებების ღონისძიებათა უფრო, მოფიქრებულ კოორდინაციას. იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფასთან ერთად უფრო გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ამ საქმეში არსებული ფორმალიზმის, ცხოვრებისაგან მოწყვეტის ელემენტები და სხვა ნაკლოვანებები. მომავალშიც საჭიროა აქტიური ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოჭრის წინააღმდეგ, ეერძომესაკუთრული ტენდენციებისა და ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ. უნდა ამაღლდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განმტკიცდეს მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირი, დროული და პრინციპული შეფასება მიეცეს იდეურ შეცდომებსა და ხარვეზებს სამეცნიერო შრომებში, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში. საჭიროა მეტი ზრუნვა მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის, მთის რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო კულტურის ამაღლებისათვის, მშრომელთა თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების, მათი დასვენების ორგანიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით მთელ თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

---

26 ივნისი ПРАВДА

„პრავდის“ ფურცლებზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მრავალმხრივი საგარეო პოლიტიკური საქმიანობის მიზანია განხორციელდეს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, რომელიც ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ მიიღო.

ამ პროგრამაში შეტანილი ერთ-ერთი დიდი ამოცანაა, — წერს გაზეთი, — აზიის უშიშროების უზრუნველყოფა, მათ შორის მისი სახელმწიფოების ერთობლივი მეცადინეობის ბაზაზე.

საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს კვლავაც აქტიური მონაწილეობა მიიღოს აქ მომწიფებულ პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებაში, იგი მზად არის მხარი დაუჭიროს ყოველგვარ ინიციატივას, რომლის მიზანი იქნება მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა. აზიას შეუძლია გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს მშვიდობის, კეთილმეზობლობის, თანამშრომლობის ზონა!

ასეთი შინაარსისაა გუშინდელი ნომრის შეთაური — „აზიის ხალხებს — მშვიდობა და კეთილმეზობლობა“.

„პრავდის“ 23 ივნისის ნომერში რუბრიკით — „პარტიული ცხოვრება: გიწვევთ სიახაბროდ“, გამოქვეყნებულია სკკპ ხვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ი. რიაბოვის საუბარი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობის სტილის სრულყოფის პრობლემებზე.

რედაქციას განზრახული აქვს კვლავაც განაგრძოს დაწყებული სჯა-ბაასი და მკითხველებს იწვევს მონაწილეობის მისაღებად („მუშაობის ლენინური სტილისათვის“).

გაზეთი იუწყება, რომ კიევში აღმოჩნდა სატელეგრაფო ბლანკები ვლადიმერ ილიიჩ ლენინის სტატიის „წინადღის“ ტექსტით („მიღებულია ტელეგრაფისტების მიერ“).

სათაურით „ხიმღერის კვალდაკვალ“ გამოქვეყნებულია გაზეთის სპეციალური კორესპონდენტების გ. ლებანიძისა და ვ. მოლჩანოვის წერილი, რომელიც მკითხველს სამხრეთ ოსეთის მშრომელ ადამიანებზე მოუთხრობს.

რესპუბლიკის მოწინავე მექანიზატორთა ინიციატივა

— საუკეთესო ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, უზრუნველყონ მეათე ხუთწლედის პირველ წელს ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს მაღალხარისხოვანი შესრულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილმა ქვეყნის წარჩინებული მექანიზატორებისადმი, რომელშიც დიდად არის შეფასებული სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტისადმი მათი ფართო, სახელმწიფოებრივი მიდგომა, ზრუნვა მოსავლის ბედისათვის, აგრეთვე გამოთქმულია გულითადი სურვილები, რომ სოფლის ყველა მშრომელმა წარმატებას მიაღწიოს მეათე ხუთწლედის პირველი წლის მოსავლის მოწევიხა და აღების საქმეში, რესპუბლიკის მიწათმოქმედთა დიდი ინტერესი და მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია.

მოწინავე მექანიზატორები — წარმოების ნოვატორები წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. მელიქიშვილი, ამავე კოლმეურნეობის კომბაინერი მ. ლალიაშვილი, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ც. მილაშვილი, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მეუნარგია, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე მექანიზატორი, სსრ ავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კ. ლაშხია, ჯასის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი ნ. ბუთხუზი, „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული გაერთიანების სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი გ. ცერცვაძე, რომელებსაც თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნიათ იყვნენ სოფლის მეურნეობის კულტურების უხვი მოსავლისათვის სამეთო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში, პირველნი გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილს და ქვეყნის წარჩინებული მექანიზატორებისადმი მოწოდების პასუხად იკისრეს მაღალი ვალდებულებები, ამასთან მოუწოდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს ჩაებან ალტაელი და დონელი მიწათმოქმედების მიერ დაწყებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ კოლმეურნეობრივი და საბჭოთამეურნეობრივი წარმოების ყველა რეზერვი, მანქანებისა და აგრეგატების ტექნიკური შესაძლებლობანი, ფართოდ გამოიყენონ პროგრესული ტექნოლოგია, ყოველმხრივ გაუთმჯობესონ სამუშაოთა ხარისხი, მიაღწიონ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას, 1976 წელს მოიწიონ უხვი მოსავალი და აიღონ იგი შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ.

6. მელიქიშვილის ბრიგადამ, რომელიც ჩაება მეათე ხუთწლედის სტარტზე მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში მაღალი მიჯნების მიღწევისათვის პატრიოტულ მოძრაობაში და შეგნებული აქვს წლევანდელი მოსავლის ბედისათვის მთელი თავისი პასუხისმგებლობა, ვალდებულება აიღოს 12 დღეში დაამთავროს 919 ჰექტარზე თავთავიანი კულტურების აღება და თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 34 ჰექტარი მარცვლეული. კომბაინერმა მ. ლალიაშვილმა აიღოს ვალდებულება 12 დღეში აიღოს მოსავალი 300 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 35 ცენტნერი მარცვლეული. ც. მილაშვილის მექანიზებულმა ბრიგადამ გადაწყვიტა მისთვის მიჩენილი ფართობზე მოსავლის აღება დაამთავროს 12 სამუშაო დღეში და მარცვლეულის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 40 ცენტნერამდე გაზარდოს. მეჩაიე მექანიზატორები ვ. მეუნარგია და კ. ლაშხია წლეულს ჩაის საკრეფი მანქანით შესაბამისად მოკრეფენ 450 და 400 ტონა ჩაის ფოთოლს. გ. ცერცვაძის ბრიგადის გალდებულება ითვალისწინებს მისთვის მიჩენილი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 450 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დიდ დამრაზმველ მნიშვნელობას ანიჭებს, რესპუბლიკის სოფლის მექანიზატორთა შესანიშნავ მოძრაობას, მოიწონა მათი პატრიოტული ინიციატივა. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიურ სსრ და აქარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გაშალონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რათა უზრუნველყონ რესპუბლიკის მოწინავე სოფლის მექანიზატორთა პატრიოტული ინიციატივის ფართო მხარდაჭერა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მეურნეობებში რესპუბლიკისა და ქვეყნის მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილების ფართო გავრცელებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შექმნან საუკეთესო პირობები სოფლის მექანიზატორთა ოსტატობის დახვეწისათვის და სოფლის მეურნეობის განვითარების დაგალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში მათი პირადი წვლილის გადიდებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად დაეკარგთ შეიმუშაონ და განახორციელონ ყველა მეურნეობაში ტრაქტორების, კომბაინების, სამკელი მანქანების, ჩაის საკრეფი მანქანებისა და მოსავლის ასაღები სხვა ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებათა უმაღლესი მწარმოებლობის მიღწევის ღონისძიებანი; დააკომპლექტონ მოსავლის ასაღები აგრეგატები მაღალკვალიფიციური მექანიზატორებით ამ გარაუდით, რომ უზრუნველყონ ტექნიკის ორცვლიანი მუშაობა; დაწვრილებით გააანალიზონ მოსავლის აღების ორგანიზაციული, აგროტექნიკური და ტექნიკური უზრუნველყოფა, მიაღწიონ მოსავლისასაღებ და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალ ხარისხს, უზრუნველყონ ყველა კომბაინის ჰერმეტიზაცია. მოსავლის აღების პერიოდში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „საქსოფლტექნიკის“ რაიგანყოფილებებისა და გაერთიანებების სარემონტო-მომსახურე ბაზების სადღეღამისო მუშაობა, თვითეულ მეურნეობაში უნდა შეიქმნას ავარიული რემონტისა და ტექნიკური მომსახურების სამსახური მანქანებისა და აგრეგატების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად. უნდა აამაღლონ მექანიზატორთა დაინტერესება, რათა მათ ფართოდ გამოიყენონ პროგრესული ტექნოლოგია და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, კერძოდ, თავთავიანთა ორჯერადი წესით აღებისას, ჩაწოლილი პურეულის ასაღები სამარჯვების გამოყენებისას, ჯგუფური მეთოდით მექანიზებული რგოლების მუშაობის, მოსავლის ასაღები სატრანსპორტო რგოლების შექმნისა და ორგანიზაციის დროს. (საქინფორმი).

ვინ მოიპოვებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალ წითელ დროშას

კომბაინერთა შეჯიბრება

წითელწყაროს რაიონი

მიხეილ ლალიაშვილმა სოფელ ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 4 სამუშაო დღეში ქერის მოსავალი აიღო 50 ჰექტარზე, ნაცვლად 32 ჰექტარისა, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 30 ცენტნერი მარცვალი. გეგმა 20 ცენტნერია.

ტარიელ ბუჩუკურმა ამავე სოფლის კოლმეურნეობაში 3 სამუშაო დღეში ქერი მომკა 30 ჰექტარზე და ამით ნორმას 6 ჰექტარით გადაჭარბა, თვითეულ ჰექტარზე გალეწილია 30 ცენტნერი მარცვალი, ნაცვლად 20 ცენტნერისა.

ვიქტორ ყოლიაშვილმა სოფელ ზემო მარხაანის კოლმეურნეობაში 4 სამუშაო დღეში ქერის მოსავალი აიღო 40 ჰექტარზე ნაცვლად 36 ჰექტარისა, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 27 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 20 ცენტნერისა.

გიორგი იაკობაშვილმა ამავე კოლმეურნეობაში 4 სამუშაო დღეში ქერი მომკა 42 ჰექტარზე ნაცვლად 32 ჰექტარისა, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 27 ცენტნერი მარცვალი.

მიხეილ ფიროსმანაშვილმა სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობაში 2,5 სამუშაო დღეში ქერის მოსავალი აიღო 25 ჰექტარზე ნაცვლად 20 ჰექტარისა, თვითეულ ჰექტარზე გალეწილია 26 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 20 ცენტნერისა.

ყვარლის რაიონი

ბიძინა მოვლილიშვილმა ქინძმარაულის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს ქერი მომკა 8 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე გალეწილია 20 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 18 ცენტნერისა.

ივანე ზაზიშვილმა სოფელ გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს ქერის მოსავალი აიღო 9 ჰექტარზე ნაცვლად 8 ჰექტარისა, თვითეულ ჰექტარზე გალეწილია 30 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 18 ცენტნერისა.

გიორგი ხუციშვილმა ამავე სოფლის კოლმეურნეობაში გუშინ ქერი მომკა 9 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე გალეწილია 30 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 18 ცენტნერისა, ხოლო ვლადიმერ ბიწაკინტელაშვილმა — 8 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე გალეწა 30 ცენტნერი მარცვალი, რაც გეგმას 12 ცენტნერით სჭარბობს.

ლაგოდეხის რაიონი

ელგუჯა ჯიბღაშვილმა სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობაში ერთ დღეს ქერის მოსავალი აიღო 12 ჰექტარზე ნაცვლად 8 ჰექტარისა. თვითეულ ჰექტარზე გალეწილია 26 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 18 ცენტნერისა.

გიორგი ქოქუაშვილმა ამავე სოფლის კოლმეურნეობებში ქერი მომკა 11 ჰექტარზე ნაცვლად 8 ჰექტარისა, ჰექტარზე საშუალოდ გალეწილია 26 ცენტნერი მარცვალი, გეგმა 18 ცენტნერი იყო.

პავლე მარგიევმა სოფელ ორჭონეკიძის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს ქერის მოსავალი აიღო 8 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე გალეწილია 22 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 18 ცენტნერისა. ასევე წარმატებით მუშაობენ კომბაინერები გიორგი ლომბაძანიძე, ალექსანდრე ნანიევი, ელგუჯა მოდებაძე.



მეცნიერები — სახალხო მეურნეობის ოვნული ბიბლიოთეკა

ბჭოს ევანეთის პროგლემებზე

საქართველოს ტერიტორიის 55 პროცენტი მაღალმთიან მასივებს უკავია, რომელთა ბუნებრივი პირობები განვითარებით ჩამორჩება ბარის რაიონებს.

სავსებით ბუნებრივია, რომ ქართველი მეცნიერები გულგრილი ვერ იქნებოდნენ ამ პრობლემებისადმი, რომლებიც მაღალმთიანი რაიონების მცხოვრებთ აწუხებთ. იმისათვის, რომ სვანეთის პრობლემის კვლევა მეცნიერულ საფუძველზე წარმართულიყო, 1973 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ამ მხარის კომპლექსური შესწავლის კომისია, რომელშიც შეეიდნენ რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები.

მეცნიერთა მუშაობას დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის სადარეჯანოო ორგანოების დადგენილებამ მესტიის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიური განვითარების შესახებ.

დღეს კომისიასთან ერთად აქტიურად თანამშრომლობს 35 სხვადასხვა ორგანიზაცია, დარგობრივი ინსტიტუტები, საწარმოები და დაწესებულებანი, სამინისტროები.

ამ დღეებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დარბაზში მუშაობდა სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის მეორე სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

ქართველმა მეცნიერებმა, თქვა მან, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მოწოდება—მეცნიერული რეკომენდაციები მიეცათ სვანეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ღვიძლ საქმედ აღიქვეს. მათ უკვე წამოაყენეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სვანეთის მოსახლეობის სიარსებო და საყოფაცხოვრები პირობების შემდგომ გაუმჯობესებას. ხელს შეუწყობს ამ მხარის მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას სკკპ XXV ყრილობის მიერ ჩვენი ხალხის წინაშე დასახული დიდი ამოცანების განხორციელებაში.

სესიაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა. მან ვრცელი ილუსტრაცია იმის შესახებ, რაც სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიამ გასწია, გააცნო დამსწრეთ კვლევითი მუშაობა, რომელიც უახლოესი დროისთვისაა გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა ილუსტრაცია ზემო სვანეთის სოფლის მეურნეობის პრობლემებზე. ზემო სვანეთის ტყეებსა და სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთ საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. ბულიასაშვილის გამოსვლა. სვანეთის ტერიტორიაზე მოწყობილი გეოფიზიკურ გამოკვლევებსა და ამ მიმართულებით გასაწევ მუშაობას შეეხო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბალავაძე. სვანეთის მეცხოველეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი გააშუქა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. რჩეულიშვილმა. საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს უფროსმა ვ. გუჯეჯიანმა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ჩართოლანმა ილუსტრაციას სვანეთის სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისა და მხარის კულტურის ძეგლთა შესწავლისათვის გაწეული მუშაობის შედეგებზე.

საინტერესოდ, საქმიანად ჩაიარეს კომისიის სექციების სხდომებმა, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები და სახალხო მეურნეობის სპეციალისტები.

სოფლის მეურნეობის სექციის მუშაობას მეთაურობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, ტექნიკისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების სექციას — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მ. ციციშვილი, ეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის სექციას — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბ. ბოლოთაევი, ტ. ნულინა, მ. შოშიტაშვილი, ი. ბაბახანიდი, ხ. ბოგველი, გ. ხვანშვილი, ა. კილაძე და ზ. ღუდუშაური, ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ხ. ბილაძემ მაშინ გადაიღო, როცა გამოსაშვები გამოცდების შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. კიდევ რამდენიმე დღე, და ისინი მუშათა კლასის რიგებს დაამშვენებენ.

27 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა

ყამირი — 76

ახალგაზრდული გულის ძახილი

განსაკუთრებული ხალხმრავლობაა ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის სამუშაო ოთახში. მიმდინარეობს მზადება მესამე შრომითი სემესტრისათვის. ზუსტდება ყამირელთა სიები, კომპლექტდება სამშენებლო რაზმები.

— ფილოლოგიის ფაკულტეტს კარგი ტრადიციები აქვს საყამირო შრომაობაში, — ამბობს ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ტყემალაძე — შარშან, სახაზო რაზმებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი სამი ადგილი ფილოლოგიის ფაკულტეტის მეყამირე გოგონათა რაზმებმა დიკავეს. ასეთივე კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ სტუდენტ ვაჟთა სამშენებლო რაზმებს. წელს ფაკულტეტის 100 სტუდენტი გოგონა იმუშავებს ზუგდიდის რაიონის ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო 40 ვაჟი — სმოლენსკში.

მარშრუტები ცნობილია — სმოლენსკი და ზუგდიდი. ზუგდიდელებმა პირველად შარშან გაიცნეს უნივერსიტეტელი გოგონები და მათი შრომით კმაყოფილნი დარჩნენ; 80 ტონა 50-ის ნაცვლად! — ასეთი იყო საერთო შედეგი. წლეულს ბევრი მათგანი მეორედ მიდის ხეცერაში. შარშან მესამეკურსელი მანანა გორდეზიანი შრომაში არავის ჩამორჩებოდა, საღამოს კი ამხანაგებთან ერთად ხან კინოსურათებს, ხან კონცერტებს ესწრებოდა. მაგრამ უფრო ხშირად კი, როგორც ეს ფილოლოგებს სჩვეოდათ, გოგონები პოეზიას უგდიდნენ ხარკს. დიდხანს დასამონებლად გამზადებულნი, რიგრიგობით კითხულობდნენ საყვარელ პოეტთა ლექსებს. წლეულს მანანამ პირველმა დაწერა განცხადება და გამოთქვა სურვილი მიეღო მონაწილეობა მესამე შრომითს სემესტრში.

სმოლენსკი კი ჯერჯერობით უცნობია მათთვის. არც სმოლენსკი იცნობს უნივერსიტეტელ ახალგაზრდებს. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება სწორედ იქ მიმავალ რაზმებზეა გადატანილი. მომავალი ყამირელები ხშირად ბჭობენ სმოლენსკის ოლქის რუკასთან, აწყობენ გეგმებს. ეს გეგმები კი, გარდა შრომისა, კულტურულ დასვენებასა და გართობასაც ითვალისწინებს. მარზა გელოვანის საფლავის მონახულებაც გადაწყვეტილია მათ, ი. გაგარინის მემორიალის მშენებლობისა და მშვიდობის ფონდში თავიანთი წვლილის შეტანაც გადაუთვალისწინებიათ „ოქროს საწმისელებს“.

კომკავშირის კომიტეტმა ფაკულტეტის დეკანატთან და პარტბიუროსთან ერთად აღრევე დაიწყო მზადება შრომითი სემესტრის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. სტუდენტებმა გაიარეს სამედიცინო შემოწმება, შეირჩნენ რაზმის ხელმძღვანელები, რომელთათვისაც ხშირად ეწყობა სპეციალური ინსტრუქციები.

ამ რამდენიმე დღის წინათ მოეწყო მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეთა შეკრება. მომავალ ყამირელებს ესაუბრნენ ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ტყემალაძე და მდივნის მოადგილე რ. ურუშაძე. კიდევ რამდენიმე დღე და ფილოლოგიის ფაკულტეტის ვაჟთა სამშენებლო რაზმები პირველ აგურს დასდებენ სმოლენსკის ოლქის ახალშენებლობებზე. მეჩაიე გოგონები კი თავიანთ წვლილს შეიტანენ 335 ათასი ტონა ჩაისათვის ბრძოლაში.

ც. შავგულიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი.

ვიზიტი გრძელდება

ლენინგრადი. 26 ივნისი. (საქინფორმი). დღეს ლენინგრადიდან სოჩში გაემგზავრნენ იორდანიის პაშმიდის სამეფოს მეფე ჰუსეინ ბენ ტალალი და დედოფალი ალია, აგრეთვე იორდანიის სახელმწიფო მოღვაწენი.

იმავე დღეს იორდანიის მეფე და დედოფალი სოჩში ჩავიდნენ.

კინოფესტივალი ბათუმში

ბათუმი. 26 ივნისი. (საქინფორმის კორ.). აქ, ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა ქართული ფილმების მეორე რესპუბლიკური ფესტივალი. თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქართული კინოს ცნობილი მოღვაწენი, პოპულარული კინომსახიობები, ჟიურის წევრები და კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, ბათუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ფესტივალი გახსნა ქართული ფილმების მეორე რესპუბლიკური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ტაკიძემ.

ფესტივალის გახსნაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. დვალიშვილი, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ნ. ჯანბერიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. აბაშიძე, ბათუმის № 5 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე ტ. შირინა, ბათუმის გემთაშენებელი ქარხნის მუშა ა. დარასელია, ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი გ. აბესაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ე. სარაჯიშვილი.

შემდეგ დამსწრეთ წარუდგინეს საკონკურსო მხატვრული, სატელევიზიო და მუსტაპლეციაციური ფილმების, აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების ჟიურის წევრები.

ფესტივალის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ქართული კინოს პიონერს — კინოოპერატორ ვასილ ამაშუკელს.

დასასრულ ნაჩვენები იყო „ქართული ფილმის“ კინოსტუდიასთან არსებული კინომსახიობის თეატრ-სტუდიის სპექტაკლი — მ. ფერმოს „კარს აკაკუნებენ“.

ფესტივალის გახსნაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ნ. ჩერქეზიშვილი, აჭარის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ღიასამიძე, აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯაში.

მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის

26 ივნისს თბილისში მუშაობა დაამთავრა ეკონომისტთა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელმაც განიხილა სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები. კონფერენცია მოიწვიეს საბჭოთა კავშირის ევროპის უმაღლესი და თანამშრომლობის კომიტეტის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიამ და ვენის საერთაშორისო ეკონომიურ შედარებათა ინსტიტუტმა. იგი მიმდინარეობდა „ევროპაში აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკონომიური ურთიერთობის“ საერთაშორისო საკვლევი პროექტის ფარგლებში.

ეკონომისტთა თბილისის შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროპის 11 ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის თვალსაჩინო მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, საქმიანი წრეების, აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს სსრ წარმომადგენლები — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის წევრი ნ. ი. კიკვაძე, საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ს. ელიგულაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პ. ვ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ი. მელქაძე.

ეკონომისტთა საერთაშორისო კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

ინსტიტუტის დირექტორი ვ. ი. მელქაძე.

კონფერენციის შედეგების შესახებ მიღებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოთა ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ზრდის ღრმად მეცნიერულ შემუშავების აბსოლუტი მნიშვნელობა აქვს იმ ამოცანების განსორციელებისათვის, რომლებსაც სახავს ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის დასკვნითი აქტი. საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარება, აგრეთვე ხალხთა მშვიდი ურთიერთობა და ურთიერთგაგება მჭიდროდ დაკავშირებულია ნაწყვეტ საყოველთაო თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი გაცვლის შემდგომ განმტკიცებასთან.

მომხსენებელმა და დისკუსიის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამრეწველო თანამშრომლობა შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფორმით.

კონფერენციის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიური გაერთიანების ურთიერთობის დამყარებას, რომლის შესაძლებლობას ახლა განიხილავენ, შეიძლება დიდმნიშვნელოვანი წვლილი მიტანოს მრეწველობის სფეროში ევროპის თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებაში და შრომის საერთაშორისო განაწილების განვითარებასა და გაუმჯობესებაში.

ევროპაში ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნაში პასუხსაგები როლი უნდა შეასრულონ სამეცნიერო დაწესებულებებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საზოგადოებრივმა ძალებმა.

შეხვედრის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს მის ორგანიზატორებს, კერძოდ, საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატას, რომლებმაც ჩინებული პირობები შექმნეს მისი წარმატებითი მუშაობისათვის.

(საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 25 ივნისის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელ სიგელით დაჯილდოდნენ:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი ივანე ბესარიონის-ძე **იმნაიშვილი** — ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდამეათე წლისთავის გამო.

ამხ. ჯალილ კარა-ოღლი ალიევი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი — იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების მესამოცე წლისთავის გამო.

ამხ. ნინო გრიგოლის ასულ **მირიანაშვილი**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი — იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების მესამოცე წლისთავის გამო.

პროფესორი გიორგი ნიკოლოზის-ძე ჭარცვაძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე — ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების მესამოცე წლისთავის გამო.

1976 წლის 29 ივნისს, დღის 2 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის სამეცნიერო სესია თემაზე:

„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა“.

ხელია გაიმართება ინსტიტუტის საქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 29).

ხვალ, 28 ივნისს თბილისში იხსნება საქართველოს თეატრალური საზოგადოების მერვე ყრილობა

ჩვენი დღეების მემატიანე

დიმიტრი ალექსიძე,

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

საბჭოთა ადამიანის კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმაყალიბებაში დიდი როლი აკისრია ლიტერატურასა და ხელოვნებას, კერძოდ კი თეატრალურ ხელოვნებას. განუზომელია მაყურებლებზე მისი ზემოქმედების ძალა.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ლომატის გაჯანსაღებისათვის და ნარსულის ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად გაჩაღებულმა პრინციპულმა ბრძოლამ თეატრალური ცხოვრების ატმოსფეროც გააჯანსაღა. ჩვენმა თეატრმა თვითთნაც ღირსეული ვალი უნდა შეიტანოს ამ ძიებებს გარდაქმნებში, მხარი ამოუდგეს პარტიას, იყოს საბჭოთა ფილოსოფიის მგზნებარე პროპაგანდისტი, ჩვენი გმირული დღეების მართალი მესიტყვე...

პარტიულობისა და ხალხურობის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი საბჭოთა თეატრალური ხელოვნება. ცნობილია, რომ მეათე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. ეს ორი ფაქტორი უმნიშვნელოვანესია ხელოვნების მუშაკებისათვისაც. თეატრი ხომ სულიერ საზრდოს აძლევს ადამიანებს და ძალი წარმოსადგენია ლაპარაკი უხარისხოდ დადგმულ სპექტაკლებზე, უღიერო როლებზე. მხოლოდ ნიჭიერება, დიდი შრომა და ოსტატობა არის ერთადერთი გზა ნამდვილი ხელოვნებისაკენ. ჩვენ ვამაყობთ რუსთაველის თეატრის, დიდი წარმატებით საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში. ასევე საამაყოა გამოსვლები საზღვარგარეთ, სადაც ჩვენს ხელოვნებას ძალიან მაღალი შეფასება მისცეს. ამით, რა თქმა უნდა, არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ჯერ კიდევ შესაქმნელია სპექტაკლები, რომლებიც თანიანთი მასშტაბებით ჩვენს დიდ სინამდვილეს გაუტოლდება.

ამა თუ იმ თეატრის ცხოვრებული კარგი წარმოდგენები სასცენო ხელოვნების წინაშე დასახულ ძირეულ ამოცანებს ვერ გადაწყვეტენ. მე მოგახსენებთ ქართული საბჭოთა თეატრის ხვალინდელ მაგისტრალურ ხაზზე, მისი შემდგომი განვითარების ძირეულ პრინციპებზე, ექსპერიმენტულ ძიებებზე, გამოსახვის ახალ საშუალებებსა და ხერხებზე, რაც მთავარია, დიდი ვნებებისა და მოვლენების ამსახველ დრამატურგიაზე. რა თქმა უნდა, მაღალმხატვრული სცენური ტილოები იოლად და ნაჩქარევად ვერ შეიქმნება. ამას დიდი შრომა და მოთმინება უნდა.

სასიამოვნოა, რომ ჩვენი მწერლებისა და დრამატურგების ნ. დუმბაძის, ო. იოსელიანის, ა. ჩხაიძის, ვ. კანდელაკის, ვ. ხუხაშვილის, ა. გეწაძის, გ. ნახუცრიშვილისა და სხვათა პიესები წარმატებით იდგმება როგორც

**დიმიტრი ალექსიძე, ნინო ანდრიაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ნინო ბერაია, ბ. ბ. ბ.

მგზნებარე რევოლუციონერი

ვ. ბაბტაძის დაბადების მე-80 წლისთავი

ვ. ბაბტაძე დაიბადა ხონში (ახლა წულუკიძე) 1896 წლის 27 ივნისს. მაშინ ხონი რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო. ორკლასიანი და სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვ. ბაბტაძემ სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში. აქ იგი დაუკავშირდა ქუთაისის არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, გატაცებით დაეწაფა მარქსისტულ ლიტერატურას. 1915 წელს ვ. ბაბტაძე ბოლშევიკური პარტიის წევრი გახდა.

1916 წლის აგვისტოში ის მობილიზაციით გაიწვიეს მეფის არმიაში და როგორც სტუდენტი პეტერბურგის სამხედრო სკოლაში გაგზავნეს. სამხედრო სკოლის მსმენელთა შორის მისი თანოსნობით შეიქმნა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელშაც კავშირი დამყარა პეტერბურგის ბოლშევიკურ კომიტეტთან.

ვალია ბაბტაძე 1917 წლის თებერვალში მონაწილეობდა მეფის მთავრობის დამხობაში, იბრძოდა პირველ მეტყველამფრქვევთა ლეგიონში, რომელშაც მუშებთან ერთად სასიკვდილო ლაზარეთი ჩასცა რომანოვების დინასტიას.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ვალია ბაბტაძე მუშაობდა პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულ (ბოლშევიკურ) ორგანიზაციაში. მალე იგი გადაიყვანეს ტავანროგში, 275-ე ქვეითი პოლკში. 1917 წლის ივნისში პოლკი, რომელშიც ვ. ბაბტაძე მსახურობდა ავსტრიის ფრონტზე გგზავნეს, მაგრამ ფრონტზე მისვლამდე ჯარისაკაცები აჯანყდნენ; აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვ. ბაბტაძეც იყო. მას დაპატიმრება ემუქრებოდა, მაგრამ მოახერხა გაპარვა და ფარულად საქართველოში, ხონში დაბრუნდა.

ამ დროიდან იგი ხელმძღვანელობდა ჯერ ხონის და შემდეგ ბათუმის პარტიულ ორგანიზაციას. ბათუმში მისი უშუალო მონაწილეობით გამოიცა ბოლშევიკური გაზეთები „ბურევესტნიკი“ და „მუშის სიმართლე“.

1918 წლის გაზაფხულზე იგი მონაწილეობდა სამეგრელოს ჯლეხთა აჯანყებაში. აფხაზეთის მშრომელთა აჯანყების დროს ხელმძღვანელობდა სამხედრო საზღვარ რაზმს. აჯანყების დამარცხების შემდეგ ვალია პიატიგორსკში, შემდეგ ვლადიკავკაზში იბრძოდა თეთრგვარდიელთა ბანდებისა და დენიკინელების წინააღმდეგ.

ვ. ბაბტაძე საქართველოდან გადასახლებული იყო ბაქოში, აქ იგი სახელოვანი მეთვრმეტე წითელი არმიის ცხენოსანი დივიზიის სამხედრო კომისრად დანიშნეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ვ. ბაბტაძე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური სკოლის გამოჩენილ მოღვაწეთა რიგებში იმყოფებოდა. 1921 წლის 3 მარტიდან სათავეში ჩაუდგა გაზეთ „კომუნისტს“, მალე იგი ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად გადაიყვანეს. მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ის სხვადასხვა დროს იყო ბათუმ-გურიის ბოლშევიკური კომიტეტის მდივანი, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მონაწილე. 1921 წლის აპრილში ქუთაისის საგუბერნიო რევკომმა თავის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილა საგაზეთო საქმის ორგანიზაციის აუცილებლობის საკითხი. გადაწყდა გამოეცათ გაზეთი „მუშა და ჯელეი“, რომლის რედაქტორობა ვ. ბაბტაძეს დაეკისრა. ქუთაისში ვ. ბაბტაძის რედაქტორობით გამოდიოდა აგრეთვე გაზეთი „წითელი ვარსკვლავი“. ვ. ბაბტაძე რამდენიმე თვის განმავლობაში სხვა სამუშაოს შეთავსებით სათავეში ედგა გაზეთ „სპარტაკს“.

მამათა მაგალითი შვილებს

სარედაქციო კოლეგიის წევრად მუშაობდა ვ. ბაბტაძე. გაზეთში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცების საქმეში, ამავე დროს იგი იწვოდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას, შეუპოვარ იდეურ ბრძოლას მენშევიკებისა და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ. 1920 წლის 17 ივლისს კი კვლავ დაუპატიმრეს.

დადგა 1921 წელი. მენშევიკების ბატონობა დასასრულს მიუახლოვდა. ვ. ბაბტაძე საქართველოდან გადასახლებული იყო ბაქოში, აქ იგი სახელოვანი მეთორმეტე წითელი არმიის ცხენოსანი დივიზიის სამხედრო კომისრად დანიშნეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ვ. ბაბტაძე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური სკოლის გამოჩენილ მოღვაწეთა რიგებში იმყოფებოდა. 1921 წლის 3 მარტიდან სათავეში ჩაუდგა გაზეთ „კომუნისტს“, მალე იგი ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად გადაიყვანეს. მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ის სხვადასხვა დროს იყო ბათუმ-გურიის ბოლშევიკური კომიტეტის მდივანი, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მონაწილე. 1921 წლის აპრილში ქუთაისის საგუბერნიო რევკომმა თავის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილა საგაზეთო საქმის ორგანიზაციის აუცილებლობის საკითხი. გადაწყდა გამოეცათ გაზეთი „მუშა და ჯელეი“, რომლის რედაქტორობა ვ. ბაბტაძეს დაეკისრა. ქუთაისში ვ. ბაბტაძის რედაქტორობით გამოდიოდა აგრეთვე გაზეთი „წითელი ვარსკვლავი“. ვ. ბაბტაძე რამდენიმე თვის განმავლობაში სხვა სამუშაოს შეთავსებით სათავეში ედგა გაზეთ „სპარტაკს“.

1924 წლის ბოლოს ვალია ბაბტაძე გადაიყვანეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჯამგედ. იმავე წელს დაამტკიცეს ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორად. ჟურნალ „მნათობთან“ მჭიდროდაა დაკავშირებული ვალია ბაბტაძის სამწერლო და კულტურული მოღვაწეობა. როგორც გულისხმიერი ხელმძღვანელი, ლიტერატორი, მებრძოლი პუბლიცისტი და კრიტიკოსი ვ. ბაბტაძე ზრუნავდა ახალგაზრდა შემოქმედითი ძალების დაწინაურებაზე. მისი მოღვაწეობა გამსჭვალული იყო წმინდა რევოლუციური და პატრიოტული ენთუზიაზმით, პარტიული პრინციპულობით.

ვ. ბაბტაძე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დარჩა კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთგული და თანმიმდევრული დამცველი. მის მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. ვინც ყურადღებით გადაიკითხავს მის „რჩეულ წერილებს“ დარწმუნდება, რომ იგი ღრმა მოაზროვნე, ლიტერატურის ჩინებული მცოდნე და დაკვირვებული კრიტიკოსი იყო. მის ლიტერატურულ შესაძლებლობას კიდევ უფრო აფართოებდა რუსული, ფრანგული და გერმანული ენების ცოდნა.

მტკიცე ბოლშევიკი და ნიჭიერი კრიტიკოსი ვ. ბაბტაძე ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას ფიქრობდა, მაგრამ მძიმედ დაავადებული 1930 წლის 4 დეკემბერს, გარდაიცვალა. 34 წლის ასაკში შეწყვეტა ლამაზი სიცოცხლე, რომელიც ვ. ბაბტაძემ მხოლოდ ხალხის კეთილდღეობის საქმეს მოახმარა.

ჯ. გორდულაძე.

ფელეტონი

ჭირმა თავი არ დამალა

„კომუნისტის“ რედაქციამ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:-

ბასლის რაიონის კოდისწყაროს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რობერტ თვანეს-ძე ბულბულაშვილი პირწავარდნილი მექრთამეა. პირადად მე, თბილისში მცხოვრები ღვიძლი ძმა რომ სოფელ ზადიაანთკარის კომლთა სიაში ჩამეწერა, 300 მანეთი მომთხოვა. საკოლო დავთარში ჩაწერისათვის ზადიაანთკარში მცხოვრებ ზ. კუდუხაშვილს 500 მანეთი, კოტე და შურა ზადიშვილებს კი 400 მანეთი გამოსძალა. სხვადასხვა საქმის მოკვარახჩინებისათვის ბულბულაშვილმა ფული გამოართვა აგრეთვე ქ. ძაღიშკილს, კოტე და სერიოჟა ზადიშვილებს, გ. ბიძინაშვილს, ლენტო, ნიკალა და ვალოდია გოგოლაშვილებს, ა. კორაშვილს, ო. გელაძეს და სხვებს...

სოფელი ზადიაანთკარი, ამირან შიოს-ძე ზადიშვილი.

— ამ წერილმა კასპში ჩაგვიყვანა. ავტორი ამირან შიოს-ძე ზადიშვილი მოვიწვიეთ და ვთხოვეთ, თავისი წერილი ერთხელ კიდევ წაეკითხა.

წერილის კითხვისას ამირანი ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა, მერე სახე ერთიანად აელეწა, ნერვიულობისაგან თვალისპაჭუნი დაეწყო, წერილის ბოლოს საკუთარი გვარი და სახელი რომ ამოიკითხა, აწრიალდა, გეგონებოდათ, ეკლებზე ზისო.

— თავიდანვე მოგახსენეთ, ახლაც გიმეორებთ — ზადიაანთკარში დავიბადე და გავიზარდე-აქ მამაპაპისეული პატარა სახლი გვაქვს, მაგრამ 1948 წლიდან თბილისში ვცხოვრობ და ზადიაანთკარში რა ხდება, საიდან უნდა ვიცოდე. — თქვა ბოლმა მოსულმა ამირანმა და წერილი დაგვიბრუნა.

— წერილში ხომ გარკვევით წერია, რომ თქვენი ძმის კომლთა სიაში ჩაწერისათვის ბულბულაშვილმა 300 მანეთი მოგთხოვათ.

— ჯერ ერთი, ჩემი ძმა თბილისში კი არა, შვიდი წელია სტავროპოლის მხარეში ცხოვრობს. მას ერთხელაც კი არ გამოუთქვამს სურვილი, ისეც ზადიაანთკარის კომლთა სიაში შემიყვანეთო. საერთოდ რობერტ ბულბულაშვილს არ ვიცნობ. ახლა შეგიტყვე, რომ ჩვენი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ყოფილა.

— დამშვიდდით, ყველაფერს გავარკვევთ.

— როგორ დავმშვიდდე, როცა ეკვის თვალით მიყურებთ, როცა ვიღაც გულღრძო კაცს იმდენი ვეკითხა არ ეყო, რომ ძაგ წერილისათვის თავისი გვარი და სახელი მოეწერა. ახლა ის სადღაც არახეისად არის და შორიდან სეირს უყურებს. მე კი სამუშაო დავტოვე, — ბრაზობდა ამირანი და თითებს ისე ღონივრად კუმშავდა, მუშმა კენკეები რომ ჩაგეყარათ ალბათ მტვრად აქცევდა...

წასვლისას ამირანმა წერილის ავტორის მოძებნა და მისი პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა, ჩვენც დიდი სურვილი აღგვქონა, ვნახეთ ადამანი, რომელიც სხვის გვარსა და სახელს ამოეფარა, ზემდგომი ორგანოები თითქოს იმატომ შეაწუხა, რომ კასპში სამართალი ვერ ამოვა.

წერილში მოყვანილი ფაქტები ბაიხ გულდასმით შევისწავლეთ. ოცამდე კაცს გავესაუბრეთ, საქმეში უამრავი ცხობა და სხვა დოკუმენტი ჩავაკერეთ, რომლებიც მხოლოდ იმაზე მეტყველებდნენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები ტყუილი და მოხაჭორი იყო.

თვითონ ბულბულაშვილს. წერილის შინაარსი რომ გავაცანით, ჭირისიოფლმა დაასხა, დანა კბილს არ უხსნიდა, მძიმედ ოხრავდა და პოპირდაპირე კედელს ისე მისჩერებოდა, გეგონებოდათ სადაცაა თვალით გაბურღავსო.

— ვინ უნდა იყოს ეს ჯლაბნია? — შეეკითხეთ ბულბულაშვილს.

— ჯლაბნია კი არა, ჩემი ღვიძლი ძმა რომ იყოს, ვიტყვი, ეს ცილისმწამებელი, ტყუილად დამსმენი კანონის მთელი ძალით უნდა დაისაჯოს.

— გეთანხმებით, მაგრამ, რომ არ ვიცით ვინ არის?

— კონკელებსა და ტაბაკების დრო წარსულს ჩაბარდა. ახლა დამნაშავე ადვილად ვერ დაიმალება. მით უმეტეს მაგ წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი სასოფლო საბჭოს მუშაობას კარგად უნდა იცნობდეს.

...ბევრი ვეძებეთ, ვიმსჯელეთ და გიორგი ონსიმეს-ძე მუზაშვილი გამოვიძახეთ. ოთახში მოსულ მაღალ ტანის, სახეშეჯგრეული კაცი შემოვიდა. ნაძალადევად ღიმებოდა, თვალს ვერ გვისწორებდა, საუბარი წერილზე რომ ჩამოვუგდეთ, შეცბა, შუბლი შეიკრა და ცივი ხმით თქვა.

— როგორ მკადრეთ, წერილს თუ დაგწერდი, იმდენი სინდისნამუსი და ვიჭკაობა კი მაქვს, რომ ხელიც მომეწერა. ფრთხილად იყავით, ცილისწამებისათვის პასუხს აგებთ.

ამბობენ, ფაქტი ჯიუტია. და მართალაც, როცა მუზაშვილი ჩიხში მოემწყვდა, როცა დავარწმუნეთ, რომ არ ვცდებოდით, მუხლებზე დაეცა, აქვითინდა და პატიება ითხოვა...

სხვანაირ საქმეებს მუზაშვილისაგან არც ველოდით. ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ძხალებს, ცილისმწამებლებს და ტყუილად დამსმენებს სჩვეოდათ. ვიღრე ასეთ ადამიანებს დანაშაულს დაუმტკიცებდე „ვიჭკაცები“ არიან, შემდეგ კი მოიკუნტებიან ხოლმე და ცდილობენ თავი შეგაბრალონ, საკუთარი თავის გადარჩენისათვის ყველფერს იტყვიან და იკადრებენ.

რა ქარგია, მაპატიეთო! სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ მაწყენინა და ეს ტყუილები იმიტომ დავწერეო. ხომ ხედავთ, მუზაშვილს ჩიჩადაც არ უღირს ის ამბავი, რომ ამირან ზადიშვილი კინაღამ შეიშალა, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კი, ნერვიულობას რომ თავი დავანებოთ, ავტორიტეტი შემელახა და თანამდებობის დატოვებამ ვინზრახა. შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი სხვებმაც, რომლებსაც თითქოს ბულბულაშვილისათვის 400 და 500 მანეთი ქრთამი მიეცეთ.

იკითხავთ, ასე ვინ გაბედოროტა მუზაშვილი? — მხოლოდ საკუთარმა თავმა. როცა იგი ბათუმის ყოფილ სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნობიდან გაათავისუფლეს, როგორც ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი, ფიზიკური მუშაობა არ იკადრა და ამიტომ ოკამის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ მას საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ჩამოართვა.

მუზაშვილმა ოაიონი აიკლო — დამჩაგრესო... ერთხანს იგოეთის სოფლის კოოპერატივში მებუფეტედ მუშაობდა. შემდეგ ნიგოზის საშუალო სკოლას სამნეო ნაწილის გამგედ მოეკლინა. და ბოლოს ამაც სკოლაში ყარაულად დანიშნეს.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ გიორგი მუზაშვილი სკოლაში მარტო რჩებოდა და, მოგეცოთ ლხენა, წერილების საწერად დროც უხვად ჰქონდა. რომელ საკლასო ოთახშიც მოისურვებდა მერხს იქ მიუჯდებოდა და ღამის სიჩუმეში მუზაც კარგად მოსდიოდა. ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ხელით წერდა. ბოლოში კი სხვის გვარსა და სახელს აწერდა. მერე შორიდან სეირს უყურებდა, როგორ ნერვიულობდნენ ადამიანები.

მუზაშვილს ეგონა თუ ბულბულაშვილს ზემდგომ ორგანოებში ტყუილად დასმენდა და მექრთამეედ მონათლავდა, დაპატიმრებენ. მის მამართ უცებ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა. ეგონა, ათი ტყუილიდან ერთი მაინც გამართლდებოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მახეში, რომელიც მუზაშვილმა ბულბულაშვილს დაუგო, თვითონვე გაება.

ეჰ, გიორგი, გიორგი, პიროდაპირ შენზეა ნათქვამი, კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალო. გაეგი ხომ?! რას იზამ — ასეთია ყველა ცილისმწამებლის, ავი კაცის ბოლო.

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს მთა-ბარში



ბათუმის დელფინარიუმში: ვერაფერი ერაკვლდებაკ...



ბათუმის დელფინარიუმი ხელმართლაინად გახდა უნიკალური ლაბორატორია მსოფლიო ოკეანის მაღალგანვითარებულ ბინადართა შესწავლისათვის, აქ დელფინთა წყვილს — „პერსეფონა“ და „ვახილისას“, რომლებიც ანაპის ნაპირებთან დაიჭირეს, შთამომავლობა შეეძინა. ეს არის ტყვეობის პირობებში მესამე ახალშობილი, რომელიც ამ უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე შეეძინა დელფინარიუმს!

დედალ პატარა დელფინს, როგორც ოკეანის გოლიათებს შეეფერება, პატარას ვერც კი უწოდებ. იგი თითქმის ერთ ფუთს იწონის, სიგრძე კი მეტრს აღემატება.

— გულახდილად რომ ვთქვათ, არ ველოდით ჩვენი დელფინარიუმის ასეთ სწრაფ შეეხებას, — თქვა ბაბუოთა კავშირის ხაზღვაო თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების დირექტორმა ლეონიდ წულაძემ. მეცნიერთა წინაშე დაისვა ამოცანა შეიმუშაონ ახალ დაბადებული დელფინების მოვლის მეთოდიკა. ბიოლოგებმა კონსილიუმზე მოიწვიეს ექიმები, რომლებმაც თავიანთი რეკომენდაციები მისცეს.

ტყვეობაში მესამე ახალშობილი დელფინი ადასტურებს ბათუმელ მეცნიერთა აზრს, რომ შეიძლება დელფინ-აფალინების ხელოვნური მოშენება და მოშინაურება, მაშასადამე, ოკეანის ფაუნის ყველაზე ხაინტერესო წარმომადგენელთან უფრო ღრმად შესწავლაც.

ჩვენი ქვეყნის პირველ დელფინარიუმში მიმდინარეობს სარდაქციო კოლეგიის წევრად მუშაობდა ვ. ბაბტაძე. გაზეთში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცების საქმეში, ამავე დროს იგი იწვოდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას, შეუპოვარ იდეურ ბრძოლას მენშევიკებისა და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ. 1920 წლის 17 ივლისს კი კვლავ დაუპატიმრეს.

დადგა 1921 წელი. მენშევიკების ბატონობა დასასრულს მიუახლოვდა. ვ. ბაბტაძე საქართველოდან გადასახლებული იყო ბაქოში, აქ იგი სახელოვანი მეთორმეტე წითელი არმიის ცხენოსანი დივიზიის სამხედრო კომისრად დანიშნეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ვ. ბაბტაძე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური სკოლის გამოჩენილ მოღვაწეთა რიგებში იმყოფებოდა. 1921 წლის 3 მარტიდან სათავეში ჩაუდგა გაზეთ „კომუნისტს“, მალე იგი ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად გადაიყვანეს. მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ის სხვადასხვა დროს იყო ბათუმ-გურიის ბოლშევიკური კომიტეტის მდივანი, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მონაწილე. 1921 წლის აპრილში ქუთაისის საგუბერნიო რევკომმა თავის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილა საგაზეთო საქმის ორგანიზაციის აუცილებლობის საკითხი. გადაწყდა გამოეცათ გაზეთი „მუშა და ჯელეი“, რომლის რედაქტორობა ვ. ბაბტაძეს დაეკისრა. ქუთაისში ვ. ბაბტაძის რედაქტორობით გამოდიოდა აგრეთვე გაზეთი „წითელი ვარსკვლავი“. ვ. ბაბტაძე რამდენიმე თვის განმავლობაში სხვა სამუშაოს შეთავსებით სათავეში ედგა გაზეთ „სპარტაკს“.

ფეხბურთი

ახლა ფინალი

ბელგრადი, 26 ივნისი. (საკ. ფლის კორ.). სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გავიდა იმ საერთაშორისო ტურნირის ფინალში, რომელიც ლუგოსლავიის ქალაქ რიეკაში მიმდინარეობს. ნახევარფინალში ჩვენმა სპორტსმენებმა მოუგეს „სარაევოს“ გუნდს (იუგოსლავია) — 2:0 (2:0). დასკვნითს მატჩში, რომელიც 27 ივნისს გაიმართება, საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდებიან იუგოსლავიის „ჰაიდუკის“ გუნდს.

ჩოგბურთი

მეტრეველმა წააგო ვილასთან

უიმბლდონის ტურნირზე დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ა. მეტრეველის შეხვედრამ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელ, არგენტინელ გ. ვილასთან. ასპარეზობა, რომელიც უიმბლდონის ნომერ პირველ კორტზე ჩატარდა, მოიგო არგენტინელმა.

ა. მეტრეველი კ. პუგაევთან ერთად გამოეთიშა აგრეთვე წყვილთა ასპარეზობას.

ოლეა მოროზოვამ დაამარცხა ნატალია ჩმირიოვა — 6:4, 4:6, 6:1 და მეოთხეფინალში გავიდა.

მოკლედ

ხელბურთი. სსრ კავშირისა და რუმინეთის ოლიმპიური ნაკრები გუნდები, რომლებიც მონრეალის ტურნირისათვის მზადებას ამთავრებენ, მოსკოვში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ამხანაგურ მატჩებში. პირველი — ასპარეზობა დამთავრდა ფრეგ — 23:23, მეორე — მასპინძელთა გამარჯვებით — 17:16.

წყალბურთი. ერეკანში დამთავრდა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მცირე ეტაპის მატჩები. გამოვლინდა საუკეთესო ექვსეული, რომელიც გაითამაშებს უმაღლესი ლიგის ორ საჯაჭურს. ესენია მოსკოვის „ტორპედო“, ლენინგრადის „ბალტიკა“, ხარკოვის „ლოკომოტივი“, მინსკის „ბურევესტნიკი“, ბორკის „ტრუდი“ და ერევნის „დინამო“. თბილისის „ბურევესტნიკმა“ მასპინძლების მსგავსად 10 ქულა მოაგროვა, მაგრამ ბურთების უარესმა სხვაობამ გზა გადაუღობა ექვსეულში.

ფეხბურთი. გუშინ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ლუჟნიკში გაიმართა „ნ“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი დედაქალაქის გუნდებს — „ტორპედოსა“ და „ცსკა-ს“ შორის.

ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს არმიელებმა. მატჩის წინ გაიმართა დიდი ფეხბურთიდან (ცსკა-ს ვეტერანთა მოთამაშეების ვ. კალინინისა და ვ. ფედოტოვის გაცილების ცერემონიალი.



ჩვენი ქინოპაფიშა

პასტორალი

ფილმს სავფუძვლად უბრალო, ხატოვნებასა და მძაფრ კოლიზიებს მოკლებული ამბავი უდევს: ქალაქიდან მუსიკოსების კვარტეტი სოფლად ჩამოდის ახალი პროგრამის დასამუშავებლად. ისინი მჭიდრო კავშირს ამყარებენ გლეხებთან, აკვირდებიან შემთხვევითი არ არის. იგი თავის მწვრთნელ —დიდოსტატ ტუკმაკოვთან ერთად მეტად საფუძვლიანად მოემზადა. ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე მიმომხილველები მიიჩნევდნენ, რომ ცეკვოვსისაგან სიურპრიზები იყო მოსალოდნელი.

ლიდერთა ჯგუფში 5,5 ქულით შედის ორი ვეტერანიც — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სპასკი და პოლუგაევსკი. სპასკისაგან უკეთესი შედეგი იყო მოსალოდნელი, მაგრამ, ეტყობა, თავი იჩინა სატურნირო პრაქტიკისაგან ხანგრძლივმა მოწყვეტამ. პოლუგაევსკი, როგორც ყოველთვის, უკანასკნელ შესაძლებლობამდე თამაშობს. იგი, მაგალითად, გოცებული დარჩა, როდესაც მეკინგმა უკვე მეათე სვლაზე შესთავაზა ყაიმი. საბჭოთა ოთხეულიდან ჯერჯერობით უარესი შედეგი (4,5 ქულა) აქვს ბალაშოვს.

მეორე ნახევრის წინ უკნოელ მონაწილეთაგან გასათვალისწინებელი ი ა ულმანის (გდრ), ბრაუნის, კავალეკის (ორივე — აშშ) შესაძლებლობები — მათ 5,5 ქულა აქვთ თვითეულს. ოდნავ უარესი მაჩვენებელი (5 ქულა) აქვს ლიუბოეიჩს (იუგოსლავია).

ტურნირის დანარჩენი მონაწილენი, პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით თუ ეიმსჯელებთ, არ აცხადებენ რეალურ პრეტენზიას პირველ სამეულზე.

ბ. ბამრეკელი.

ფეხბურთი

ახალ ეგზამენატორებთან ერთად

ბელგრადი, 26 ივნისი. (საკ. ფლის კორ.). სსრ კავშირისა ლა რუმინეთის ოლიმპიური ნაკრები გუნდები, რომლებიც მონრეალის ტურნირისათვის მზადებას ამთავრებენ, მოსკოვში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ამხანაგურ მატჩებში. პირველი — ასპარეზობა დამთავრდა ფრეგ 23:23, მეორე — მასპინძელთა გამარჯვებით — 17:16.

წყალბურთი. ერევანში დამთავრდა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მცირე ეტაპის მატჩები. გამოვლინდა საუკეთესო ექვსეული, რომელიც გაითამაშებს უმაღლესი ლიგის ორ საჯაჭურს. ესენია მოსკოვის „ტორპედო“, ლენინგრადის „ბალტიკა“, ხარკოვის „ლოკომოტივი“, მინსკის „ბურევესტნიკი“, ბორკის „ტრუდი“ და ერევნის „დინამო“. თბილისის „ბურევესტნიკმა“ მასპინძლების მსგავსად 10 ქულა მოაგროვა, მაგრამ ბურთების უარესმა სხვაობამ გზა გადაუღობა ექვსეულში.

ფეხბურთი. გუშინ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ლუჟნიკში გაიმართა „ნ“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი დედაქალაქის გუნდებს — „ტორპედოსა“ და „ცსკა-ს“ შორის.

ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს არმიელებმა. მატჩის წინ გაიმართა დიდი ფეხბურთიდან (ცსკა-ს ვეტერანთა მოთამაშეების ვ. კალინინისა და ვ. ფედოტოვის გაცილების ცერემონიალი.

ჩვენი ქინოპაფიშა

ბაგანია ზაფხულს

სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ახპირანტმა ანდრეი ტროიანმა ხორბლის ახალი ჯიში გამოიყვანა. საჭირო გახდა მისი მოსავლისუნარიანობისა და გამძლეობის გამოცდა. ტროიანის თანაკურსელმა და მეგობარმა, დიდი საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვლადიმერ რუბანმა შესთავაზა ექსპერიმენტი ჩემს მეურნეობაში ჩაატარეო. იგი შესანიშნავი ორგანიზატორი და მეურნეა, მაგრამ ტროიანისაგან განსხვავებით ნაკლებად უწევს ანგარიშს ხალხს...

ფილმი კინორეჟისორმა ვ. ილიაშენკომ გადაიღო, სცენარი ი. პარხომენკოსა და მ. ტკაჩს ეკუთვნის. ოპერატორია ი. ბარშაში.

მთავარ როლებში: კ. სტეპანკოვი და ბ. სტუპკა.

დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია.

კონცერტი ორი ვიოლინოსთვის

პროფესია ცხოვრების ნახევარს ნიშნავს, მიზანი კი უპირველესია. დასახული მიზნისაკენ ყველა თავისი გზით მიდის. ასეა ამჟამადაც.

ანდრეიმ და ლადიამ ერთად დაამთავრეს მუსიკალური სასწავლებელი. ბიჭები კონსერვატორიაში შესასვლელად ემზადებოდნენ, გამოცდების დაწყების წინ ლადიამ უარი თქვა კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე და ცირკს გაჰყვა გასტროლებზე. ანდრეი კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. ლადია მთლად ჩამოსცილდა მუსიკას. მალე ანდრეისაც დაუდგა კრიზისი, მანაც უარი თქვა კონსერვატორიაზე და კაფეში დაიწყო მუშაობა.

გადის დრო, ანდრეი და ლადია რწმუნდებიან, რომ მათი მოწოდება მუსიკაა...

ფილმის რეჟისორია ე. ტაშევსკაია. დამდგმელი ოპერატორი ნ. ნემოლაევი.

მთავარ როლებში: ხ. მარტინოვი, ე. ხოლოვეი, ალ. კურეპოვი. კინოსტუდია „მოსფილმი“.



ავინდი

გუშინ 13 საათზე ყველგან უნალელეკ ამინდი იდგა. ხმოლოდ თელავსა და ახალქალაქში წვიმდა. დასავლეთ საქართველოში 23-27 გრადუსი სითბო იყო. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 24-25, მთებში 19-23 გრადუსი სითბო აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 27 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში — 25-29, მთებში — 19-24 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი. დაბლობ რაიონებში — 25-30, მთებში 17-22 გრადუსი იქნება.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა. ტემპერატურა 28-30 გრადუსი.

ეს ან ის

27 ივნისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ჯადოსნური ეკრანი“, 11 20 — „საჭადრაკო სკოლა“, 11.50 — „კინოს მოყვარულთათვის“, 13.00 — მუსიკალური ჟიოსკი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — კინოთეატრში, 14.00 — მოსწავლეთათვის — „ასოფრეული“ — ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 15.00 — „მთელი გულით“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.15 — საესტრადო კონცერტი. 17.50 — საერთაშორისო პანორამა — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.20 — მულტფილმი, 18.50 — მეგობრობის კონცერტი, 19.00 — „პოეზია“ — ლადო ასათიანი (კითხულობს მსახიობი გ. ხარაბაძე), 19.25 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა. მიძღვნილი საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — კინომოგზაურთა კლუბი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრმია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — ქართული პ